ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №809167

ნომერი: AR1147487

თარიღი : 18.07.2013

გაცემის თარიღი : 24.07.2013

გაცნობის თარიღი : 29.07.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შეშელიძე , N 1 , (ნაკვეთი N1/16) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პაატა კიკნაძე პ/ნ 01021010653
- თბილისი თემქა III მ/რ IV კვ. კორ. 67 ბ. 15

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებით გაცნობებთ: იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, უნდა გაითვალისწინოთ შემდეგი:

– ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთი დატვირთულია სერვიტუტით, სადაც დაუშვებელია ნებისმიერი სახის მშენებლობა საჭიროა წარმოადგინოთ საკადასტრო რუკა, საპროექტო შენობა–ნაგებობის მონიშვნით და მასზე გაბარიტული ზომების მითითებით.
– ასევე წარმოსადგენია განახლებული ფოტომონტაჟი სადაც მითითებული იქნება ყველა გაბარიტული ზომა და მასალა.
– ვინაიდან მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით შპს "შუქურა"–ს ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირა მოქ. დავითი მეგრელიშვილი, ხოლო განცხადებით მოგვმართავთ თქვენ მოქ. პაატა კიკნაძე, საჭიროა წარმოადგინოთ, მოქ. დავით მეგრელიშვილის მინდობილობა გაცემული თქვენს მიმართ, რომელიც უნდა ატვირთოთ "არსებობის შემთხვევაში წარმომადგენელის მინდობილობა/რწმუნებულება"–ს ველში.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.